



**2019 წლის 26 თებერვლის
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N33

სხდომის დაწყების დრო: 18:30

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი თევზაძე, ნათია კორკოტაძე, (დისტანციურ რეჟიმში - მარიამ კუბლაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი და გიორგი ტურაზაშვილი).**

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება: ნიკოლოზ ფანჯიკიძე, თაია არაბული.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

(ა) ნიკოლოზ ფანჯიკიძის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილების და პროფესიული ადაპტაციის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1 იანვრამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნიკოლოზ ფანჯიკიძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

(ბ) თაია არაბულის განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 28 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

2019 წლის 28 იანვარს თაია არაბულმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა გაცემული საქართველოს პარლამენტის მიერ, აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის წამყვან სპეციალისტად მუშაობის შესახებ 2013 წლის 11 დეკემბრიდან - 2019 წლის 28 იანვრის მდგომარეობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ თაია არაბულის მიერ დამატებით წარმოდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თაია არაბულის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

საკითხი 2. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა: თაია არაბული, რაჟდენ კუპრაშვილი, ირაკლი შულაია, 2019 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირები: გიორგი გულუა, მეგი საკანდელიძე, ქრისტინე ცეკვავა.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2019 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა

ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოვეწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს თაია არაბულის, რაჟდენ კუპრაშვილის, ირაკლი შულაიას, გიორგი გულუას, მეგი საკანდელიძის, ქრისტინე ცეკვაავას განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამავდროულად, 2019 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს: გიორგი გულუას, მეგი საკანდელიძეს და ქრისტინე ცეკვაავას ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

საკითხი 3. საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა: ლევან ცალუღელაშვილი, შოთა შოშიაშვილი, ალექსანდრე ბოჭორიშვილი, ზეინაბ კვიციანიძე, მარინე ახალაური, გოდერძი გრიგალაშვილი

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. განმცხადებლებზე, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად წარმოდგენილი აქვთ საწევრო შეღავათით სარგებლობისთვის განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტები - ზეინაბ კვიციანიძეზე, ალექსანდრე ბოჭორიშვილზე, შოთა შოშიაშვილზე, ლევან ცალუღელაშვილზე, თემურ გიკაშვილზე გავრცელდეს საწევროს გადახდის შეღავათები. ამასთან, ეცნობოთ შეღავათების გავრცელების შედეგად გადასახდელი საწევრო ოდენობის შესახებ.

2. განმცხადებლებს - მარინე ახალაურს და გოდერძი გრიგალაშვილს, ეცნობოთ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით საშეღავათო საწევროთი სარგებლობისთვის განსაზღვრული მოთხოვნების შესახებ და მათ მიერ შესაბამისი დოკუმენტები წარმოდგენის შემდეგ საბჭოს წევრები იმსჯელებენ საშეღავათო საწევროს გავრცელების საკითხზე.

საკითხი 4. 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურის გადახდისგან გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა: ირაკლი ბოლქვაძე, ანა დავითაძე, ლევან ჭელიძე, თეკლე ჯანხოთელი.

საბჭოს წევრები გაეცნენ:

(ა) ირაკლი ბოლქვაძის 2019 წლის 22 თებერვლის განცხადებას, რომელიც ითხოვდა 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურის გადახდისგან გათავისუფლებას ფინანსური პრობლემების გამო. განცხადებას თან ერთვოდა ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, პირადი განცხადების საფუძველზე, გამოცდის რეგისტრაციის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლოს აპლიკანტი, თუმცა, ვინაიდან არ არის დადგენილი კონკრეტული კრიტერიუმები, საბჭო უფლებამოსილია თავად განსაზღვროს განცხადების დაკმაყოფილების მიზანშეწონილობა, განცხადებაში მითითებული გარემოებების ან/და დამატებითი წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ლია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.2 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ირაკლი ბოლქვაძის განცხადება 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ბ) თეკლე ჯანხოთელის 2019 წლის 21 თებერვლის განცხადებას, რომელიც ითხოვდა 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურის გადახდისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ თეკლე ჯანხოთელის განცხადებაში მითითებული გარემოება (მაგისტრატურის სტუდენტი) ვერ ჩაითვლება ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო

გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლით გამოცდის საფასურის გადახდისგან გათავისუფლების საფუძველად.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს თეკლე ჯანხოთელის განცხადება 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე.

(გ) ანა დავითაძეს და ლევან ჭელიძეს განცხადებებს, რომელიც ითხოვდნენ 2018 წლის საშემოდგომო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე გადახდილი საფასურის ჩათვლას 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურად.

ანა დავითაძეს მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული იყო, რომ იგი ორჯერ დარეგისტრირდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებზე, მაგრამ ვერ მოახერხა ვერცერთ გამოცდაზე გამოსვლა ოჯახური პირობების გამო. განცხადებას თან ერთვოდა გარდაცვალების მოწმობისა და დაბადების მოწმობის ასლები).

ლევან ჭილაძეს მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული იყო, რომ იგი 2018 წლის დეკემბერში დარეგისტრირდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე, მაგრამ ვერ შეძლო გამოცდაზე გამოცხადება პირადი და ოჯახური პირობების გამო.

წევრებმა განაცხადეს, რომ ანა დავითაძეს და ლევან ჭელიძეს განცხადებებში მითითებული გარემოებები ვერ ჩაითვლება ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლით საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდისგან გათავისუფლების საფუძველად.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ანა დავითაძის და ლევან ჭელიძეს განცხადებები 2018 წელს საშემოდგომო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე გადახდილი თანხის 2019 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურში ჩათვლის თაობაზე.

საკითხი 6. ასოციაციის კომიტეტების რეორგანიზაცია და ახალი დებულებების დამტკიცება

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს გააცნო ზოგადი ინფორმაცია ასოციაციის კომიტეტების საქმიანობის შესახებ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია პროფესიის წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების და აქტუალური საკითხების გათვალისწინებით, მოხდეს კომიტეტების რეორგანიზაცია, კერძოდ,

გაუქმდეს:

- რეგიონებთან ურთიერთობის კომიტეტი;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კომიტეტი;
- საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომიტეტი;
- უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის კომიტეტი;
- ფინანსური მდგრადობის და მონიტორინგის კომიტეტი.

შეიქმნას:

- კომუნიკაციის და მედია სამართლის კომიტეტი;
- ახალგაზრდა ადვოკატთა პროფესიაში ინტეგრაციის კომიტეტი.

გაერთიანდეს:

- მედიაციის განვითარების კომიტეტი და დავების ალტერნატიული გადაწყვეტის კომიტეტი და ჩამოყალიბდეს როგორც: მედიაციის და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტი.

შეეცვალოს სახელწოდება:

კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა კომიტეტს და ეწოდოს **კორპორატიული ერთობის განვითარების კომიტეტი**. ასევე, აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს რეგიონებში არსებულ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა კომიტეტებზე და ეწოდოთ:

- კახეთის კორპორატიული ერთობის განვითარების კომიტეტი;
- იმერეთის კორპორატიული ერთობის განვითარების კომიტეტი;
- სამეგრელო-კორპორატიული ერთობის განვითარების კომიტეტი;
- ზემო სვანეთის კორპორატიული ერთობის განვითარების კომიტეტი;
- აჭარის კორპორატიული ერთობის განვითარების კომიტეტი;

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და გაეცნენ კომიტეტების რედაქტირებული დებულებების პროექტებს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დამტკიცდეს ასოციაციის კომიტეტების საბოლოო სია შემდეგი სახით:

1. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი;
2. ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტი;
3. ადვოკატის სოციალური დაცვის კომიტეტი;
4. ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი;
5. სისხლის სამართლის კომიტეტი;

6. სამოქალაქო სამართლის კომიტეტი;
7. კომერციული და კონკურენციული სამართლის კომიტეტი;
8. ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტი;
9. შრომის სამართლის კომიტეტი;
10. პრო ბონო სერვისების განვითარების კომიტეტი;
11. მართლმსაჯულების და სასამართლო რეფორმების კომიტეტი;
12. კომუნიკაციის და მედია სამართლის კომიტეტი;
13. ახალგაზრდა ადვოკატთა პროფესიაში ინტეგრაციის კომიტეტი;
14. მედიაციის და არბიტრაჟის კომიტეტი;
15. კორპორატიული ერთობის განვითარების კომიტეტი.

(ბ) დამტკიცდეს ზემოთ ჩამოთვლილი კომიტეტების დებულებები სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დავით ასათიანი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე